

## ბურთის გატანა არ მოხერხდა

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 7 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0.

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი (წერეთელი), ყიფიანი, კოპალეიშვილი (დვალისძე).

"ლოკომოტივი": სამოხინი, ნოზდრინი, ოფჩინიკოვი, რიახოვსკი, ალექსანდროვი, კალაიჩევი, ემტრეკოვი (პერეგონცევი), სიომინი, ლარიონოვი (ნიკიფორენკო), ავერიანოვი, გაზაევი.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები – 2:1.

თბილისში არ ცხრება დიდი საფეხბურთო ზეიმი. როცა გვირახიდან თასით ხელში გამოჩნდა თბილისის "დინამო" ზუსტად იმავე შემადგენლობით, როგორც იგი ფინალურ მატჩში გამოდიოდა, წინ კი. მ. მაჩაიძეს ხელთ ეკავა თასი, გულშემატკივრებმა კვლავ მოუწყეს ოვაცია ფეხბურთელებს. გუნდმა შემოურბინა წრე სტადიონს, მაყურებლები ფეხზე ამდგარნი ეგებებოდნენ დიდი ხნის ნანატრ ბროლის სტუმარს. თავიანთ მხრივ ლოკომოტიველებმაც პატივი სცეს გამარჯვებულებს და ყვავილები მიართვეს მათ.

მაგრამ ყვავილები ყვავილებად, სტუმრებმა კი საკუთრივ თამაშში არაფერი დაუთმეს მეტოქეს, არნახული თავგანწირვით იბრძოლეს მთელი 90 წუთის განმავლობაში და დაიმსახურეს ის, რისთვისაც არ დაიშურეს ძალ-ღონე – ქულა.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო თბილისის "დინამოს" ის თამაში, რომელიც მან სულ ახლახან აჩვენა ღონეცკსა და მოსკოვში, თვით ის ქულაც, რომელიც "ლოკომოტივის" ერგო, დიდი დანაკლისია გუნდისთვის. გამარჯვება გვეწადა ყველას, უპირველეს ყოვლისა – დინამოელებს, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება, გარკვეული მოულოდნელობებისა და დანაკლისისგან დაზღვეული არავინაა. თვით თასის მფლობელიც კი.

გვინდა მკითხველმა სწორად გაგვიგოს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის დიდი განცდები და სტრესები, დიდი ნერვულობა და მღელვარება, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა გადაიტანეს ამ ბოლო ხანებში და ანგარიში გავუწიოთ მათს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ცდა არავის დაუკლია, უქმად მინდორზე არავის უსეირნია, თამაში კი არ გამოვიდა. უფრო სწორად, დინამოელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში. რამდენიმე ეპიზოდის გარდა ინიციატივა არ დაუთმიათ მოწინააღმდეგისთვის, ხოლო გოლის გატანა არა და არ მოხერხდა. შეიძლება, თამაშის დაწყება საჭირო იყო არა ასე მონოტონურად, არამედ უფრო ენერგიულად, სწრაფად, ვინაიდან ნელი ტემპი ლოკომოტიველებს უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე ჩვენს გუნდს, მაგრამ არსებულ ვითარებაშიც შეეძლოთ სამოხინის კარის აღება ჩელებაძეს, ყიფიანს, მაჩაიძეს, წერეთელს, ჩივაძეს, ებრალიძეს. მთელ რიგ შემთხვევებში მოსკოველები ერთიანი შემადგენლობით იცავდნენ თავს, დროც გაჰყავდათ, ჯარიმებსაც არ თაკილობდნენ, ანგარიშს კი არაფერი ეშველა: ტაბლოზე ბოლომდე შემორჩა 0:0.

თბილისის ლენინის სახელობისა და საქარხნო რაიონის კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა დააწესეს სპეციალური პრიზები მატჩის საუკეთესო მოთამაშეთათვის. ისინი გადაეცათ ვ. გაზაევს და ვ. კოპალეიშვილს.

რ. ქორიძე.

"ლელო", 9 სექტემბერი, 1976 წ.